



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

არქეოლოგია

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** არქეოლოგია

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:** ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი - ომარ ლანჩავა. ტელ.- 8 (431) 24-86-25. 8 (431) 24-57-82. მობ. 5 (99) 22-35-57. ელ. ფოსტა - omarilanchava@gmail.com

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** ძირითადი (Major)

**სწავლების ენა:** ქართული.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში (BA in Archaeology).

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS**

- ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო დისციპლინები - 15 კრედიტი
- ბ) საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები - 20 კრედიტი
- გ) სავალდებულო კურსები - 120 კრედიტი
- დ) არჩევითი კურსები - 15 კრედიტი
- ე) თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი
- გ) დამატებითი სპეციალობის (Minor) დისციპლინები - 60 კრედიტი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

- საბაკალავრო პროგრამის მიზანია ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით მოამზადოს უმაღლესი განათლების I საფეხურისათვის განსაზღვრული კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები არქეოლოგიაში, რომელთაც ექნებათ სათანადო ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევები წარმატებული საქმიანობისათვის არქეოლოგიის და ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით.
- სწავლების შემდეგი საფეხურისათვის მომზადება სპეციალობაში ცალკეული მიმართულებების (ქვის ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით) მიხედვით

სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში უფრო მაღალი კვალიფიკაციის მიღების მიზნით.

### **სწავლის შედეგი:**

#### **ცოდნა და გაცნობიერება:**

სტუდენტს ექნება -

- სფეროს ფართო ცოდნა: არქეოლოგიის საფუძვლებში; არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის მეთოდებში; საქართველოს წინაისტორიული, კლასიკური და შუასაუკუნეების ეპოქების არქეოლოგიაში; მსოფლიოს არქეოლოგიურ კულტურებსა და უძველეს ცივილიზაციებში; ანტიკურ არქეოლოგიაში; საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაში; სამუზეუმო საქმეში; ქართული ხელოვნების ისტორიაში; საქართველოს ისტორიაში; მსოფლიო კულტურაში; თეორიულ ეთნოლოგიაში; ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური ქვეყნების ისტორიაში; უძველეს ცივილიზაციებში; ანთროპოლოგიაში; პალეოგრაფიაში.
- მას ეცოდინება ასევე კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური) ენები, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 და B1 დონეზე.
- დაეუფლება ზოგადჰუმანიტარული ცოდნის თეორიულ საფუძვლებს ფილოსოფიაში, კლასიკურ ფილოლოგიაში, ქართულ ფილოლოგიასა და ისტორიულ მეცნიერებებში.

სტუდენტს შეეძლება -

- არქეოლოგიური ძეგლების კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება.
- არქეოლოგიური ძეგლის და არქეოლოგიური კულტურების აღწერა და გაცნობიერება იმისა, თუ რას წარმოადგენს არქეოლოგიური ძეგლი როგორც ერის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი.
- ნივთიერი და წერილობითი წყაროების კლასიფიცირება და შეფასება.
- ქართული ცივილიზაციის როლის გაცნობიერება მსოფლიოს კულტურულ სივრცეში.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

სტუდენტს შეეძლება მიღებული ცოდნის გამოყენება განსაზღვრული მითითებების საფუძველზე -

- არქეოლოგიურ სადაზვერვო და სტაციონალურ ექსპედიციებში მონაწილეობა და არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენება (არქეოლოგიური ძეგლის გათხრა, საპრეპარაციო სამუშაოები).
- არქეოლოგიური არტეფაქტების პირველადი დამუშავება (ფიქსაცია, გასუფთავება-გაწმენდა, კონსერვაცია, აღწერა და საინვენტარო წიგნში გატარება).
- არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა და კლასიფიკაცია.

- წერილობით წყაროებზე (ქართული, ძველი ბერძნული და ლათინური) მუშაობა. ელექტრონულ საძიებო რესურსებში სათანადო ინფორმაციისა და მასალების მოძიება.
- სამუზეუმო კოლექციების დაცვა და გამოფენების ორგანიზება. საექსკურსიო საქმიანობა მუზეუმებში და საქართველოს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში შემავალ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.
- კულტურულ ფასეულობათა გამორჩევა, აღწერა და შეფასება.
- არქეოლოგიაში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება ხემძღვანელის მითითებების შესაბამისად (პრაქტიკის ანგარიშის, რეფერატის ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისათვის ნაშრომის მომზადება).

### **არგუმენტირებული დასკვნის უნარი:**

სტუდენტს განსაზღვრული მითითებების საფუძველზე შეეძლება -

- პრობლემურ სიტუაციაში არქეოლოგიისა და მომიჯნავე მეცნიერებათა ფარგლებში მონაცემთა მოძიება, კრიტიკულად გააზრება, განსხვავებული პოზიციების ანალიზი, წერილობითი წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის და არქეოლოგიური არტეფაქტების შეჯერება და მოვლენათა ურთიერკავშირის დადგენა.
- საკუთარი საქმიანობის სფეროში (არქეოლოგია, სამუზეუმო საქმე, კულტურული მემკვიდრეობის შეფასება და პოპულარიზაცია) სათანადო მეთოდების გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი, შეფასება, დასაბუთებული დასკვნების სახით ჩამოყალიბება და წერილობითი და ზეპირი სახით წარმოჩენა.
- თეორიული სწავლების პროცესში ან საველე პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების მოძიება, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

### **კომუნიკაციის უნარი:**

სტუდენტს შეეძლება -

- თავისი დარგის სპეციალისტებთან ან სხვა დარგის წარმომადგენლებთან საკუთარი იდეების, მოსაზრებების, აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება წერილობითი ანგარიშის მომზადების, ზეპირი პრეზენტაციებისა და დისკუსიების გზით.
- თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად და შემოქმედებითად გამოყენება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება. საოფისე პროგრამების, არქეოლოგიისა და საერთოდ კულტურული მემკვიდრეობის ელექტრონულ მონაცემთა ბაზების გამოყენება ლექციებზე, პრეზენტაციებზე, პრაქტიკული თუ ჯგუფური მუშაობისა დროს და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში.
- მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციები. საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება და გამოხატვა, არგუმენტაცია და დაცვა.

**სწავლის უნარი:**

სტუდენტს შეეძლება -

- სწავლისათვის (პრაქტიკულ მეცადინეობებზე, სამუშაო ჯგუფებში და დამოუკიდებელი მუშაობისათვის) საჭირო რელევანტური სტრატეგიის შერჩევა და საკუთარი კომპეტენციების შეფასება. გამოყენებული სტრატეგიის მონიტორინგი (სასწავლო პროცესის ანალიზი; პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების განსაზღვრა). შემდგომი სწავლის საჭიროებათა დადგენა.
- შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განსაზღვრა და შეძენის სტრატეგიის გამოუშვება.
- ინფორმაციის და დროის მენეჯმენტი (დაგეგმვა, პრიორიტეტების გამოყოფა, სამუშაოს ორგანიზება).

**ღირებულებები:**

- საქართველოს და მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა.
- პატრიოტიზმი და ქვეყნის ინტერესების დაცვა. პასუხისმგებლობა საკუთარი სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე.
- სამყაროს მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების პატივისცემა. ჰუმანისტურ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად საკუთარ პროფესიული კომპეტენციების გამოყენების გზით.
- არქეოლოგიის და მომიჯნავე მეცნიერებათა სფეროში სპეციფიკური პროფესიული ეთიკის დაცვა.
- კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ტოლერანტობის ჩამოყალიბება.

**კომპეტენციების ცხრილი**

სასწავლო კურსები	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა I	X	X		X		
უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა II	X	X		X		

უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა III	X	X		X		
შესავალი ფილოსოფიაში	X	X				X
შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	X	X	X	X	X	X
შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	X	X	X		X	
შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	X	X	X	X		
არქეოლოგიის საფუძვლები	X	X			X	X
არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის მეთოდები	X	X	X	X	X	X
საველე არქეოლოგიური პრაქტიკა	X	X			X	X
წყაროთმცოდნეობა	X	X	X			
საქართველოს ისტორია 1	X	X			X	X
საქართველოს ისტორია 2	X	X			X	X
წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ეპოქა) 1	X	X	X		X	X
წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ეპოქა) 2	X	X	X		X	X
კლასიკური ენები (ლათინური) 1	X	X	X	X	X	X
კლასიკური ენები (ლათინური) 2	X	X	X	X	X	X
კლასიკური ენები (ძვ.ბერძნული) 1	X	X	X	X	X	X
კლასიკური ენები (ძვ.ბერძნული) 2	X	X	X	X	X	X
ანტიკური არქეოლოგია	X	X	X		X	X
პრეისტორიული და კლასიკური ეპოქის არქეოლოგიური კულტურები	X	X	X			X
კლასიკური ეპოქის და შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია 1	X	X	X		X	X
კლასიკური ეპოქის და შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია 2	X	X	X		X	X
ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 1	X	X	X		X	
ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 2	X	X	X		X	
სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 1	X	X				X
სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 2	X	X				X
ქართული ხელოვნების და არქიტექტურის ისტორია 1	X	X	X		X	X
ქართული ხელოვნების და არქიტექტურის ისტორია 2	X	X	X		X	X
მსოფლიო კულტურა - ისტორიული კვლევის ობიექტი	X	X	X			X
თეორიული ეთნოლოგია	X	X	X			X
შესავალი არქეოლოგიაში	X	X				X
ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია	X	X	X		X	
ანტიკური ქვეყნების ისტორია	X	X	X		X	
ქართული პალეოგრაფია	X	X				X
ანთროპოლოგია	X	X			X	X
უძველესი ცივილიზაციები	X	X	X	X	X	X

მეორე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა I	X	X		X		
მეორე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა II	X	X		X		
მეორე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა III	X	X		X		
ინფორმაციული ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X

**დასაქმების სფერო:**

- არქეოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები (ექსპედიციები).
- სხვადასხვა პროფილის მუზეუმები.
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამები.
- ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებები.
- კულტურულ - საგანმანათლებლო პროგრამები.
- ეროვნულ სახელმწიფოებრივი სტრუქტურები (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო).
- მასმედიაში არქეოლოგ-ექსპერტად.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** *სწავლების ფორმატი* - ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი მუშაობა, საველე პრაქტიკა.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები -**

- **ვერბალური (ზეპირი პრეზენტაცია)** - გამოიყენება პროფესორის მიერ მასალის გადაცემისას და სტუდენტის მიერ სამუშაო ჯგუფში მუშაობისას. ზეპირი თხრობა თეორიული მასალის გადაცემის საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტში მოსმენის უნარის განვითარებას; თეორიული ინფორმაციის ათვისების გაადვილებას; სწორად მეტყველების ჩვევის ჩამოყალიბებას.
- **ვიზუალური დემონსტრირება** - გამოიყენება პროფესორის მიერ სასწავლო მასალის გადაცემისას და სტუდენტის მიერ სამუშაო ჯგუფში მუშაობისას. საილუსტრაციო მასალის (ფოტომასალა, ცხრილები, ნახაზები) დემონსტრირება დაფის, ტექნიკური საშუალებების, კომპიუტერის გამოყენებით - ხელს უწყობს სასწავლო მასალის აღქმას თვასაჩინოების სხვადასხვა საფეხურის მემწეობით; ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის არსს; აადვილებს თეორიული ინფორმაციის ათვისებას.
- **დისკუსია** - ეხმარება სტუდენტს გამოიმუშავოს საკუთარი აზრის ჩამოყალიბების და დასაბუთების უნარი; ზრდის სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართულობას; გამოუმუშავებს სტუდენტებს კამათის და დებატების ჩვევებს; ხელს უწყობს შესასწავლი მასალის გააზრება-გაცნობიერებას.
- **წიგნზე მუშაობა** - მოიცავს ლექციაზე, სამუშაო ჯგუფში და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის და წერილობითი წყაროების კითხვას. ანვითარებს წიგნის კითხვის და სათანადო მასალების მოპოვების ჩვევას; ხელს უწყობს თეორიული მასალის ათვისებისა გააზრების უნარის ჩამოყალიბებას.
- **წერილი მუშაობა** - გამოიყენება სტუდენტის მიერ ლექციაზე, სამუშაო ჯგუფში და

დამოუკიდებელი მუშაობისას. გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: საჭირო მასალების მოძიება და ჩანაწერების გაკეთება, კონსპექტის შედგენა; სასწავლო და საპრეზენტაციო საკითხების დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შედგენა.

- **კითხვების დასმა** - გამოიყენება პროფესორისა და სტუდენტის მიერ მიერ ლექციაზე და სამუშაო ჯგუფში მუშაობისას. ხელს უწყობს სტუდენტში ცოდნის განმტკიცებას და ძირითადი საკითხებისადმი ყურადღების გამახვილებას. სტუდენტში ანვითარებს კითხვების სწორად ფორმირებისა და დასმის ჩვევას; ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.
- **ჯგუფური მუშაობა** - გამოიყენება როგორც ლექციაზე, ასევე პრაქტიკული და ჯგუფში მეცადინეობისას და დამოუკიდებელი მუშაობისას. გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და გარკვეულ დავალებებზე ერთობლივად მუშაობას.



სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	საკ/სთ	ლქ/პრ/დამ.	ECTS	სემესტრები							
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (15 კრედიტი)</b>												
	<b>უცხო ენები</b>			15	5	5	5					
1	უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა I	5	0/75/50	5	5							
2	უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა II	5	0/75/50	5		5						
3	უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა III	5	0/75/50/	5			5					
<b>საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)</b>												
1	შესავალი ფილოსოფიაში	3	30/15/80	5	5							
2	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	4	30/30/65	5	5							
3	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	3	30/15/80	5	5							
4	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	30/15/80	5	5							
<b>სავალდებულო კურსები (120 კრედიტი)</b>												
1	არქეოლოგიის საფუძვლები	3	30/15/80	5		5						
2	მსოფლიო კულტურა-ისტორიული კვლევის ობიექტი	3	30/15/80	5		5						
3	წყაროთმცოდნეობა	3	30/15/80	5		5						
4	საქართველოს ისტორია 1	3	30/15/80	5		5						

5	საქართველოს ისტორია 2	3	30/15/80	5			5					
6	არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის მეთოდები	3	30/15/80	5			5					
7	საველე არქეოლოგიური პრაქტიკა			5			5					
8	წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ეპოქა) 1	3	30/15/80	5			5					
9	წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ეპოქა) 2	3	30/15/80	5			5					
10	პრეისტორიული და კლასიკური ეპოქის არქეოლოგიური კულტურები	3	30/15/80	5					5			
11	კლასიკური ენები (ლათინური) 1	3	0/45/80	5					5			
12	კლასიკური ენები (ლათინური) 2	3	0/45/80	5						5		
13	კლასიკური ენები (ძვ. ბერძნული) 1	3	15/30/80	5							5	
14	კლასიკური ენები (ძვ. ბერძნული) 2	3	15/30/80	5								5
15	ანტიკური არქეოლოგია	3	30/15/80	5						5		
16	კლასიკური ეპოქის და შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია 1	3	30/15/80	5					5			
17	კლასიკური ეპოქის და შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია 2	3	30/15/80	5						5		
18	ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 1	3	30/15/80	5							5	
19	ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 2	3	30/15/80	5								5
20	თეორიული ეთნოლოგია	3	30/15/80							5		
21	სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 1	3	30/15/80	5							5	
22	სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 2	3	30/15/80	5								5
23	ქართული ხელოვნების და არქიტექტურის ისტორია 1	3	30/15/80	5							5	
24	ქართული ხელოვნების და არქიტექტურის ისტორია 2	3	30/15/80	5								5

არჩევითი კურსები (15 კრედიტი)												
1	არჩევითი კურსი 1						5					
1.1	ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია	3	30/15/80									
1.2	შესავალი არქეოლოგიაში	2	15/15/95									
1.3	მეორე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა I	5	0/75/50									
2.	არჩევითი კურსი 2						5					
2.1	ანტიკური ქვეყნების ისტორია	3	30/15/80									
2.2	უმველესი ცივილიზაციები	3	30/15/80									
2.3	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	0/45/80									
2.4	მეორე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა II	5	0/75/50									
3	არჩევითი კურსი 3							5				
3.1	ანთროპოლოგია	3	30/15/80									
3.2	ქართული პალეოგრაფია	3	30/15/80									
3.3	მეორე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა III	5	0/75/50									
თავისუფალი კრედიტები (10 კრედიტი)												
1		3	30/15/80	10	5				5			
დამატებითი სპეციალობა (Minor) – 60 კრედიტი												
1	დამატებითი სპეციალობის კრედიტები					60		10	10	10	10	10
	სულ					240	30	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პ/დამ. - ლექცია/პრაქტიკული/დამოუკიდებელი მუშაობა

## სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები (სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა):**

1. აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი. აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები. კეთილმოწყობილი კაბინეტ-აუდიტორიები, მათ შორის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის აუდიტორია. არქეოლოგიის მიმართულების კომპიუტერული რესურს-ცენტრი (ინტერნეტში ჩართული სამი კომპიუტერი, შავი და ფერადი პრინტერი, სკანერი, ტელევიზორი). არქეოლოგიური მასალების ელექტრონული ბიბლიოთეკა.
2. აწსუ-სა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია და მისი ბაზა ქუთაისსა და წყალტუბოში. ასევე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და არქეოლოგიური ექსპედიციები.
3. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ფონდები და ლაბორატორიები). პუბლიკაციების შესაძლებლობა მუზეუმის სამეცნიერო შრომათა კრებულებში.

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:**

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად; მათ შორის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ (1 სრული პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 3 მოწვეული სპეციალისტი, 2 დოქტორანტი) -

1. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ო. ლანჩავა - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგია-სიძველეთმცოდნეობის მიმართულების კოორდინატორი და სრული პროფესორი; იმერეთის რეგიონის არქეოლოგიური კვლევების და კოლექციების უფროსი ზედამხედველი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი.
2. ისტორიის აკადემიური დოქტორი მ. ჭუმბურიძე - ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი.
3. ისტორიის აკადემიური დოქტორი რ. ისაკაძე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი; აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი.
4. ისტორიის აკადემიური დოქტორი ნ. ქარციძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი.
5. ისტორიის აკადემიური დოქტორი ს. კუპრაშვილი - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის კოორდინატორი და ასოცირებული პროფესორი.

6. ისტორიის აკადემიური დოქტორი რ. მიქაუტაძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
7. ისტორიის აკადემიური დოქტორი დ. შავიანიძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
8. ისტორიის აკადემიური დოქტორი მ. ხვედელიძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი.
9. ისტორიის აკადემიური დოქტორი მ. რობაქიძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
10. ისტორიის აკადემიური დოქტორი ო. ნიშნიანიძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
11. ისტორიის აკადემიური დოქტორი ნ. ნიქაბაძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი.
12. ისტორიის აკადემიური დოქტორი ნ. ვაშაყმაძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი.
13. ისტორიის აკადემიური დოქტორი რ. ხაჭაპურიძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი.
14. შ. ბუაძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების დიგიტალიზატორი.
15. გ. ჭიჭინაძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი - მოწვეული მასწავლებელი.

პროგრამის განხორციელებაში ასევე მონაწილეობენ:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჩიხლაძე - აწსუ კლასიკური და ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი.
2. ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი ზ. ლილუაშვილი - აწსუ კლასიკური და ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი.
3. ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი მ. პაიკიძე - კლასიკური და ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
4. წერეთელი - აწსუ კლასიკური და ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი.
5. ფილოლოგიის კადემიური დოქტორი რ. საღინაძე - ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
6. ფილოლოგიის კადემიური დოქტორი ნ. კუტივაძე - ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
7. ფილოლოგიის კადემიური დოქტორი ნ. ფხაკაძე - ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
8. ფილოსოფიის დოქტორი მ. ებანოიძე - ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი.

სულ - 3 სრული პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი.

უცხო ენების სასწავლო კურსებს კითხულობენ შესაბამისი დეპარტამენტების პროფესორ-მასწავლებლები.